

განმარტებითი ბარათი

“საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ” საქართველოს კანონში დამატების შეტანის თაობაზე

წარმოდგენილი ცვლილება გამოწვეულია იმით რომ „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლით კანონი აწესრიგებს საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრესა და მოსარგებლეს შორის 1996 წლის 27 ივნისამდე წარმოშობილ ურთიერთობებს და არ განსაზღვრავს თუ რა თარიღიდან უნდა მოხდეს ამგვარი ურთიერთობების წარმოშობის ათვლა. აღნიშნულ ხარვეზზე აგრეთვე მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში.

უინაიდან კანონი არეგულირებს საბჭოთა პერიოდში არსებული სამოქალაქო ბრუნვით გამოწვეულ პრობლემებს, აღნიშნულ თარიღად უნდა მივიჩნიოთ საბჭოთა რესეთის მიერ საქართველის ძირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის თარიღი, რა დროიდანაც ხდებოდა საბჭოთა კანონმდებლობის საქართველოს სამართლებრივ სივრცეში დანერგვა.

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებით საწილის ხრდას და ეამსჯებით საბიუჯეტო ხარჯების გამოყოფას.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორია პარლამენტის წევრი ნიკა გვარამია.